Divos A1 VM 49

მჟავა საშუალება, ნადების მოსაშორებელი, ყველა ტიპის მემბრანებისათვის

აღწერა:

Divos A1 არის დაბალქაფოვანი, მაღალი აქტიურობის მქონე, შერეული მჟავა საშუალება, რომელიც გამოიყენება მემბრანების გასაწმენდად. Divos A 1 შეიძლება გამოყენებულ იქნას ნადების მოსაშორებლად კვების და სასმელების ყველა ინდუსტრიაში. იგი განსაკუთრებით ეფექტურია რძის მრეწველობაში რძისგან წარმოქმნილი ნადების მოსაცილებლად.

ძირითადი მახასიათებლები:

- გამოიყენება ყველა ტიპის მემბრანებზე.
- Divos A1 ბუფერულია და გამწმენდი ხსნარი მემბრანის pH-ის ფარგლებშია.
- Divos A 1 არ შეიცავს ფოსფორს და მისი უსაფრთხოდ გამოყენება შესაძლებელია კერამიკულ მემბრანებზე.
- შეიცავს ორგანული და არაორგანული მჟავების ნაზავს, რომელიც უკეთესად უმკლავდება Co ფოსფატის ხსნადობას, ვიდრე აზოტმჟავებზე დაფუძნებული პროდუქტები

უპირატესობები:

- მაღალეფექტურია მემბრანებიდან არაორგანული ნადების მოსაშორებლად, ზრდის გამტარობას და აღადგენს წყლის ნაკადის საწყის მაჩვენებლებს.
- გამოიყენება რძის მრეწველობის მემბრანებში რძისგან წარმოქმნილი ქვის მოსაშორებლად, რაც ზრდის გამტარობას, აღადგენს წყლის ნაკადს და უზრუნველყოფს სტაბილურ საწარმოო პროდუქტიულობას.
- ეფექტურია მინერალური ნადების მოცილებაში pH 1.8–2.0 დიაპაზონში, რაც იცავს მემბრანებს დაზიანებისგან.
- მემბრანების გაწმენდის პროცესების უმეტესობა ერთჯერადია. ქიმიური ნივთიერებების თანმიმდევრული მიწოდება შესაძლებელია ავტომატური დროული დოზირების ან გამტარობის გამოყენებით.

გამოყენების წესები:

Divos A 1 გამოიყენება 0.1-1.5% w/w (0.08-1.21 v/v) კონცენტრაციით, საწმენდი ხსნარის pH-ის მიხედვით, 20-60°C ტემპერატურაზე 15-30 წუთის განმავლობაში. Divos A 1-ის გამოყენების ტემპერატურა და pH დამოკიდებულია მემბრანის საწმენდ ტემპერატურასა და pH-ის ტოლერანტობაზე, თუმცა pH რეკომენდებულია 1.8-1.9-ს შორის დიაპაზონში იყოს.

Divos A 1-ის შემცველი ხსნარები გამოყენების შემდეგ კარგად უნდა გაირეცხოს, რათა მოშორდეს საკვებთან და სასმელთან შეხებაში მყოფი ყველა ზედაპირიდან.

ტექნიკური მონაცემები

გარეგნული ფორმა: ღია გამჭირვალე სითხე

შედარებითი სიმკვრივე [20 ºC] - 1.2

Ph (1% ხსნარი 20 ºC–ზე) - 1

ჟანგბადის საჭიროება ქიმიკატში (COD) - 129,1 gO_2/kg

აზოტის შემცველობა (N) 58 g/kg

ფოსფორის შემცველობა 0 g/kg

Divos A1 სპეციფიკური [%w/w] გამტარობა 25 ºC [mS/cm]:

0.1 - 1.8

0,3-5,0

0,5-7,8

1.0- 1ლ.9

1.5 - 22.0

2.0 - 28.7

ზემოთნახსენები მონაცემები წარმოადგენენ ტიპიურ სიდიდეებს და სპეციფიკაციებად არ უნდა განიხილებოდნენ.

ინფორმაცია უსაფრთხო დამუშავებასა და შენახვაზე

შეინახეთ თავისივე კონტეინერში დახურულ მდგომარეობაში ან (სადაც შესაძლებელია) სპეც. განკუთვნილ ცისტერნაში, მოარიდეთ მაღალ ტემპერატურას. პროდუქტის გამოყენებისა და განთავსების შესახებ სრული ინსტრუქციის ნახვა შესაძლებელია არსებითი უსაფრთხოების მონაცემების ფურცელზე.

პროდუქტის თავსებადობა

ნებისმიერი რეკომენდაციის მიცემამდე ყოველთვის დარწმუნდით, რომ მომხმარებელთან, მემბრანის მწარმოებელთან ან ორიგინალი მოწყობილობის მწარმოებლთან შეამოწმეთ მემბრანის ტიპი, ტემპერატურისა და pH-ის ტოლერანტობა.

ტესტირების მეთოდი:

რეაგენტები: 0.1 N ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარი
ფენოლფთალეინის ინდიკატორი

პროცედურა: დაამატეთ 2-3 წვეთი ხსნარის ინდიკატორი, 10 მლ სატესტო ხსნარზე. საბოლოოდ ხსნარი უნდა გახდეს მოწითალო.

კალკულაცია: w/w **Divos A1** = ტიტრი (mls) x 0.167
v/v **Divos A1** = ტიტრი (mls) x 0.135

Cleantech